10/12/2020

“ზომების უმკაცრესი დაცვით შობას გავხსნით ტაძრებს”- პირეის მიტროპოლიტი სერაფიმე

საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარმა, პირეის მიტროპოლიტმა სერაფიმე ერთ-ერთ ტელეგადაცემაში განაცხადა, რომ გეგმავს შობას ტაძრების გახსნას ხალხისათვის, ხოლო საღვთო ლიტურგია აღევლინება რეკომენდაციების სრული დაცვით.

შეგახსენებთ, რომ ამჟამდ საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გადაწყვეტილებით ტაძრებში ღვთისმსახურებას მხოლოდ სასულიერო პირები აღასრულებენ.

ეპიდემიის გავრცელების დღიდან დღემდე საბერძნეთში კორონავირუსულ ინფექციას სამი ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორის ორი მღვდელმთავრისა და რამდენიმე მღვდელმსახურის.

— wenews.ge